შეთანხმება

უძრავ ქონებასთან დაკავშირებული უფლებების გადაცემის შესახებ

ქ. თბილისი 24 იანვარი, 2014 წელი

<u>ერთი მხრივ,</u>

სს „იბერია უძრავი ქონება“ (ს/კ 205038546) წარმოდგენილი მისი დირექტორის **რამაზ მოსაშვილის** (პ/ნ 01005002608) მიერ (შემდეგ – **„უფლების დამთმობი“**)

<u>მეორე მხრივ,</u>

შპს **“MG Capital”**-ი (ს/კ 205188447) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ნოზაძის წარმომადგენლის **ალექსანდრე ქამუშაძის** (პ/ნ 01030028695) მიერ *(მინდობილობა გთხოვთ, იხილოთ საჯარო რეესტრის №882013336430 სარეგისტრაციო წარმოებაში)* (შემდეგ – **„უფლების მიმღები“**)

აფორმებენ მოცემულ გარიგებას (შემდეგ – **„შეთანხმება“**) შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

პრეამბულა

ვინაიდან, “ქონების მიმღებსა” და ამერიკის შეერთებული შტატების სააგენტოს “ოპიკ”-ს (Overseas Private Investment Corporation - OPIC) შორის 2013 წლის 08 აპრილს გაფორმებული უზრუნველყოფის გადაცემის შესახებ ხელშეკრულების (ნოტ. მაკა ბახტაძე, რეგ. №130337172) თანახმად, “ქონების მიმღების” სასარგებლოდ გადავიდა მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან (იპოთეკა/გირავნობა) დაკავშირებული ყველა ის უფლება, რომლიც “ოპიკ”-ს გააჩნდა “მესაკუთრის” მიმართ;

ვინაიდან, “უფლების მიმღები” პარტნიორული თანამშრომლობისა და კეთილი ნების საფუძველზე “უფლების დამთმობის” მიმართ არ იწყებს გადახდისუუნარობის საქმისწარმოებას;

ვინაიდან, “უფლების მიმღები” და “უფლების დამთმობი” თანხმდებიან ერთობლივ სარეაბილიტაციო გეგმაზე, რომელიც პირველ რიგში მიზნად ისახავს როგორც “უფლების დამთმობის” მიმდინარე მშენებლობების დასრულებას და კლიენტების დაკმაყოფილებას, ასევე ითვალისწინებს “უფლების მიმღების” კომერციულ ინტერესს;

ვინაიდან, “უფლების დამთმობი“ აწარმოებდა საცხოვრებელი კომპლექსის „იბერია ჰილსი“-ს (მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსები) სამშენებლო სამუშაოებს მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მდებარე ქ. თბილისში, ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით, კერძოდ:

1. სახლი #1 - ს/კ 01.14.08.001.062;
2. სახლი #2 - ს/კ 01.14.08.001.012;
3. სახლი #3 - ს/კ 01.14.08.001.012;
4. სახლი #4 - ს/კ 01.14.08.001.058;

5. სახლი #5 - ს/კ 01.14.08.001.057;
6. სახლი #6 - ს/კ 01.14.08.001.056;
7. სახლი #7 - ს/კ 01.14.08.001.097;
8. სახლი #8 - ს/კ 01.14.08.001.063;
9. სახლი #9 - ს/კ 01.14.08.001.064;
10. სახლი #10 - ს/კ 01.14.08.001.098;
11. სახლი #11 - ს/კ 01.14.08.001.098;
12. სახლი #12 - ს/კ 01.14.08.001.067;
13. სახლი #13 - ს/კ 01.14.08.001.074;
14. სახლი #14 - ს/კ 01.14.08.001.073;
15. სახლი #15 - ს/კ 01.14.08.001.073;
16. სახლი #16 - ს/კ 01.14.08.001.097;
17. სახლი #17 - ს/კ 01.14.08.001.097;
18. სახლი #18 - ს/კ 01.14.08.001.088;
19. სახლი #25 - ს/კ 01.14.08.001.112;
20. სახლი #26 - ს/კ 01.14.08.001.012.
21. მიწის ნაკვეთი - ს/კ 01.14.08.001.055;
22. მიწის ნაკვეთი - ს/კ 01.14.08.001.059;
23. მიწის ნაკვეთი - ს/კ 01.14.08.001.072;

(შემდეგ ტექსტში ერთობლივად მოხსენიებული როგორც **„იბერია ჰილსი“**)

ვინაიდან, რეაბილიტაციის გეგმის ფარგლებში „იბერია ჰილსში“ მშენებლობას აგრძელებს “უფლების მიმღები“;

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. ძირითადი დებულებები

1.1 „უფლების დამთმობი“ გადასცემს, ხოლო „უფლების მიმღები“ საკუთრებაში იღებს ყველა იმ სამოქალაქო სამართლებრივ უფლებას, რაც „უფლების დამთმობს“, როგორც მენაშენეს, გააჩნია „იბერია ჰილსში“. კერძოდ:

- შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველყოფის უფლება;
- შესაბამისი ნებართვების მოპოვების მიზნით სამშენებლო–საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება შესაბამის ორგანოებთან;
- სამშენებლო–საპროექტო დოკუმენტაციაში ნებისმიერი ცვლილების/კორექტირების განხორციელება და შეთანხმება შესაბამის ორგანოებთან;
- შეცვლილი პროექტის საფუძველზე ახალი განშლის შედგენა და მისი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია;
- საპროექტო დოკუმენტაციისა და განშლის საფუძველზე რეგისტრირებული ფართების კორექტირება (გამოყვნა, გაერთიანება, გაუქმება) ან/და დამატებითი ფართების რეგისტრაცია;

- „იბერია ჰილსის“ ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის (ე.წ. „გრგ“-ს) გამოყენებისა და მასში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის უფლება;
- ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მენაშენეს გააჩნია მიწის ნაკვეთთან და მასზე განთავსებულ სამშენებლო ობიექტთან დაკავშირებით.

1.2 ყოველგვარი ორაზროვების გამოსარიცხად, 1.1 პუნქტიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, რომ:

- „უფლების მიმღები“ უფლებამოსილია, მიმართოს თბილისის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურებს, ნებისმიერ სხვა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს და როგორც მენაშენემ მოითხოვოს ყველა იმ უფლების განხორციელება, რაც „მშენებარე მიწის ნაკვეთზე“ არსებულ სამშენებლო ობიექტთან დაკავშირებით გააჩნდა „უფლების დამთმობს“, რაშიც იგულისხმება, მაგრამ არ შემოიფარგლება, სამშენებლო დოკუმენტაციაში ცვლილება/დამატების შეტანა, მშენებლობის ვადის გაგრძელება/აღდგენა, ტექნიკურ–ეკონომიკური მახასიათებლების შეცვლა, კოეფიციენტის ცვლილება, მიწის ნაკვეთის გამიჯვნა/გაერთიანება, განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება, მშენებლობის ნებართვის ბრძანებასა და სანებართვო მოწმობაში ნებისმიერი სახის ცვლილების შეტანა, მშენებარე ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ნებისმიერი ქმედება.
- ნებისმიერი საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი ფართი, რომელიც „მშენებარე მიწის ნაკვეთზე“ წარმოიქმნება კორექტირებული პროექტის საფუძველზე *(იგულისხმება, როგორც ამ „შეთანხმებაზე“ ხელმოწერამდე „უფლების დამთმობის“ მიერ კორექტირებული, მაგრამ საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებელი პროექტი ასევე „უფლების მიმღების“ მიერ ამ „შეთანხმების“ ხელმოწერის შემდეგ კორექტირებული პროექტები, ასეთების არსებობის შემთხვევაში)*, „უფლების მიმღების“ მიერ განიშლება საჯარო რეესტრში და დარეგისტრირდება საკუთრებაში „უფლების მიმღების“ სახელზე ან/და მისივე გადაწყვეტილებით ნებისმიერ მესამე პირზე.
- მოცემული „შეთანხმების“ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციისთანავე „უფლების დამთმობი“ კარგავს ყველანაირ სამოქალაქო სამართლებრივ უფლებას (მათ შორის საკუთრებისა და თანასაკუთრების უფლებას) „მშენებარე მიწის ნაკვეთსა“ და მასზე განთავსებულ მშენებარე შენობა–ნაგებობაზე და ყველა ამ უფლებას საკუთრებაში/თანასაკუთრებაში იძენს „უფლების მიმღები“, როგორც ობიექტის ახალი მენაშენე.
- ნებისმიერი უფლება, რომელიც დაკავშირებულია „მშენებარე მიწის ნაკვეთსა“ და მასზე განთავსებულ მშენებარე შენობა–ნაგებობასთან, მათ შორის საკუთრებისა და თანასაკუთრების უფლება, შეუზღუდავად და სრული მოცულობით გადადის „უფლების დამთმობიდან“ „უფლების მიმღებზე“, თუნდაც აღნიშნულის შესახებ პირდაპირ არ იყოს მითითებული ამ „შეთანხმებით“;
- „უფლების მიმღები“ უფლებამოსილია, „უფლების დამთმობის“ დამატებითი თანხმობის გარეშე, წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული უფლებები შეუზღუდავად და საკუთარი შეხედულებისამებრ, სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირ(ებ)ს;

2. დასკვნითი დებულებები

2.1 „შეთანხმება“ ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისა და ამ ხელმოწერათა ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმებისთანავე.

2.2 „შეთანხმების“ რომელიმე პუნქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად „შეთანხმების“ გაბათილებას ან ძალადაკარგულად ცნობას. მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა, რომელსაც არეგულირებდა ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებული დებულება, დარეგულირდება სხვა მაქსიმალურად მსგავსი დებულებით ისე, რომ გათვალისწინებულ იქნას მხარეთა მიერ ამ „შეთანხმებით“ გამოვლენილი ნება.

2.3. მხარეთა შორის არსებული ნებისმიერი უთანხმოება უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.

2.4. „შეთანხმება“ შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ იდენტურ და თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლიდანაც ორ-ორი ეგზემპლარი შესანახად გადაეცემათ მხარეებს;

2.5. ყველანაირ სარეგისტრაციო ხარჯს გაიღებს „უფლების მიმღები“.

„უფლების დამთმობის“ მხრიდან, _____

„უფლების მიმღების“ მხრიდან, _____

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140060139
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	24.01.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**მაკა ბახტაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი დედაენის პარკის ტერიტორია**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**591 70 11 16**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	11392061152814

ორიათას თოტხმეტი წლის ოცდაოთხ იანვარს მე, ნოტარიუს მაკა ბახტაძეს რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე, ქ. თბილისი, დედაენის პარკის ტერიტორია, მომმართეს მოქალაქეებმა ალექსანდრე ქამუშაძემ და რამაზ მოსაშვილმა, რომელებმაც წარმოადგინეს 24/01/2013 წლის შეთანხმება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული უფლებების გადაცემის შესახებ და მოითხოვეს მასზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.
მე შევამოწმე მათი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ალექსანდრე ქამუშაძემ (დაბ: 01.01.1984 წელს, თბილისში პ/ნ 01030028695, მცხოვრები: ქ.თბილისი, ქურდიანის №19) და რამაზ მოსაშვილმა (დაბ: 02.12.1971 წელს თბილისში, პ/ნ 01005002608, რეგ: ქ. თბილისი კ.მარჯანიშვილის ქ. N 4) მომმართეს.
მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. ამის შემდეგ მათ პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე შეთანხმებას, რასაც ვამოწმებ.
4 (ოთხი) ეგზემპლარი
სანოტარო მომსახურების საზღაური: ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისათვის საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების - "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლის თანახმად გადახდილია 16.00 ლარი, აგრეთვე რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად. სულ გადახდილია 18.00 ლარი.

ნოტარიუსი
მაკა ბახტაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
40906398824413

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება
რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
N130705506

რეგისტრაციის თარიღი
12.07.2013 წ

ნოტარიუსი: მაკა ბახტაძე
მისამართი: ქ. თბილისი დედაენის პარკის ტერიტორია
ტელეფონი: 591 70 11 16

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათასცამეტი წლის თორმეტ ივლისს, მე, ნოტარიუსს მაკა მახტაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დედაენის პარკის ტერიტორია, მომმართა მოქალაქე **დავით ნოზაძემ,** როგორც **შპს „MG Capital"** (ს/კ 205188447) **დამფუძნებელმა/დირექტორმა,** თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაციის # B13065161, მომზადების თარიღი: 28/06/2013. მან გამობატა მინდობილობის შედგენის წება და მოითხოვა მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **დავით ნოზაძემ** (დაბ: 11.04.1977 წელს, ქარელში, პირადი № 43001002468, მისი განცხადებით მცხოვრები: ქ. თბილისი, თაყაიშვილის ქ. 6) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მჭონია. შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წაიკითხა და მოიწონა მიმნდობმა პირმა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

მე, **შპს „MG Capital" (ს/კ 205188447) დამფუძნებელმა/დირექტორმა, დავით ნოზაძემ** (დაბ: 11.04.1977 წელს, ქარელში, პირადი № 43001002468, მისი განცხადებით მცხოვრები: ქ. თბილისი, თაყაიშვილის ქ. 6) **ალექსანდრე ქამუშაძეს** (პ/ნ 01030028695) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

1. **ალექსანდრე ქამუშაძე** უფლებამოსილია, იყოს შპს „MG Capital"-ის (ს/კ 205188447) წარმომადგენელი მესამე პირებთან ურთიერთობაში იმ უფლებებითა და მოვალეობებით, რაც გამაჩნია მე, როგორც ამ საზოგადოების დამფუძნებელს და დირექტორს, ასევე იყოს წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში, მათ შორის საჯარო და სამეწარმეო რეესტრში, შსს-ს მომსახურების სააგენტოში, საგადასახადო ორგანოებში, კომერციულ ბანკებში, სანოტარო ბიუროებში და ასევე უცხო ქვეყნის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, გააფორმოს ხელშეკრულებები, შეიტანოს ჩემი სახელით განცხადებები, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, დოკუმენტი, ამონაწერი, მოწმობა, ასლი, გადაიხადოს გადასახადები და მოსაკრებლები, აწარმოოს ანგარიშსწორებები ყველა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

2. ასევე ვენდობი **ალექსანდრე ქამუშაძეს** გახსნას შპს „MG Capital"-ის სახელით ანგარიშები ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, მართოს და განკარგოს საზოგადოების ყველა ანგარიში, კერძოდ შეიტანოს, გამოიტანოს, გადარიცხოს თანხები, მოახდინოს თანხის კონვერტაცია, ჩართოს ონლაინ რეჟიმი, გამოიტანოს თანხა, მიიღოს ამონაწერები ანგარიშებიდან, განახორციელოს მასზე კანონით ნებადართული ყველა მოქმედება. გახსნას საზოგადოების სახელით ახალი ანგარიშები/ანაბრები მართვისა და განკარგვის უფლებით, საჭიროების შემთხვევაში დახუროს ისინი.

3. იგი ასევე უფლებამოსილია დაესწროს საზოგადოების კრებებს და ხელი მოაწეროს კრების ოქმებს ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, მართოს და განკარგოს ჩემი წილი საზოგადოებაში, ამ წილთან დაკავშირებით დადოს ნებადართული გარიგებები, მათ შორის გაასხვისოს, გაცვალოს, გააჩუქოს ან/და უფლებრივად დატვირთოს.

4. საზოგადოების სახელით დადოს ხელშეკრულებები, კონტრაქტები, **შეიტანოს ცვლილებები/დამატებები, გააუქმოს ისინი,** ხელი მოაწეროს მათ, წარადგინოს რეგისტრაციისთვის ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებაში და აღასრულოს ისინი.

5. **ალექსანდრე ქამუშაძე** უფლებამოსილია, ჩემი სახელით აწარმოოს მოლაპარაკებები, ჩაბაროს და/ან აიღოს ნებისმიერი საბუთი და ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც შესაძლოა პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ამ მინდობილობით, მაგრამ საჭირო გახდება ზემოთ აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია **უვადოდ** გადანდობის უფლებით და შედგენილია **ოთხ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს **მაკა ბახტაძის** სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მხარეს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება ჩემს სანოტარო არქივში თან ერთვის:
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაციის # B13065161, მომზადების თარიღი: 28/06/2013, (ს/კ 205188447)

სანოტარო მომსახურების საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების - "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლის თანახმად გადახდილია 10.00 ლარი, აგრეთვე 2 ლარი (დღგ ჩათვლით), თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილების (№507. 29 დეკემბერი, 2011 წ.) 39-ე მუხლის 1 პუნქტისა, სულ გადახდილია 12.00 ლარი.

შპს „MG Capital" (ს/კ 205188447)
დამფუძნებელი/დირექტორი,
დავით ნოზაძე დავით ნოზაძე

ნოტარიუსი მ. ბახტაძე მაკა ბახტაძე

ნოტარიუსი მაკა ბახტაძე 01025004351 NOTARY MAKA BAKHTADZE

JP

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140060277
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	24.01.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**სანოტარო მოქმედებათა ერთიან ელექტრონულ რეესტრში განთავსებული დოკუმენტის ელექტრონულ ასლთან ფოტოასლის შესატყვისობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**მაკა ბახტაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი დედაენის პარკის ტერიტორია**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591 70 11 16
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	99308160697814

ორიათას თოთხმეტი წლის ოცდაოთხ იანვარს მე, ნოტარიუსმა მაკა ბახტაძემ, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დედაენის პარკის ტერიტორია, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის 58–ე მუხლის მეხუთე პუნქტის შესაბამისად, დავამოწმე შემდეგი დოკუმენტის ელექტრონულ ასლთან ფოტოასლის შესატყვისობა (განთავსებული სანოტარო მოქმედებათა ერთიან ელექტრონულ რეესტრში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ გვერდზე: www.notary.ge). სანოტარო აქტი - რწმუნებულება/მინდობილობა ჩემს, ნოტარიუს მ. ბახტაძის მიერ 12/07/2013 წელს, რ/ნ N130705506) რომლის დამოწმების მოთხოვნით მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა ალექსანდრე ქამუშაძემ (დაბ: 01.01.1984 წელს, თბილისში პ/ნ 01030028695, მცხოვრები: ქ.თბილისი, ქურდიანის №19), რომელიც წინამდებარე მინდობილობაში არის გარიგების მხარის წარმომადგენელი "მინდობილი პირი". ეგზემპლარის რაოდენობა: 3 (სამი)
სანოტარო საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლის თანახმად გადახდილია 9.00 ლარი, აგრეთვე 2.00 ლარი, თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილების (#507, 29 დეკემბერი, 2011 წ.) 39-e მუხლის პირველი პუნქტისა, სულ გადახდილია 11 ლარი.

ნოტარიუსი
მაკა ბახტაძე

მ. ბახტაძე

ნოტარიუსი მაკა ბახტაძე NOTARY MAKA BAKHTADZE 357

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

12 აგვისტო, 2015 წელი

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

უძრავ ქონებასთან დაკავშირებული უფლებების გადაცემის შესახებ

ერთის მხრივ, შპს **„MG Capital"** (ს/ნ: 205188447) წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე ქამუშაძის (პნ: 01030028695) მიერ (შემდეგ - „MG Capital");

მეორეს მხრივ, შპს **„მეტრა დეველოპმენტი"**, (ს/ნ: 404982033), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნატალია გლინსკაიას მიერ (შემდეგ - „მეტრა");

მესამეს მხრივ, შპს **„ანს (ANS)** (ს/ნ 405021480), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლიანა მოდებაძის (პირადი ნომერი 59001006592) მიერ (შემდეგ - „ანს");

და

მეოთხეს მხრივ, **შპს „მეტრა ფროფერტის (Metra Properties)** (ს/ნ 405029231), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლიანა მოდებაძის (პირადი ნომერი 59001006592) მიერ, (შემდეგ - „მეტრა ფროფერტის")

აფორმებენ წინამდებარე შეთანხმებას (შემდეგ - „შეთანხმება") შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

პრეამბულა:

ვინაიდან, „MG Capital" წარმოადგენს საცხოვრებელი კომპლექსის „იბერია ჰილზი"-ს (მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსები) სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელს და მშენებლობის ნებართვების მფლობელს. „იბერია ჰილზი" მდებარეობს ქ. თბილისში, ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით და შედგება შემდეგი მშენებარე ნაგებობებისგან, რომლებიც აღმართულია/აღიმართება ქვემოთ ჩამოთვლილ საკადასტრო კოდებზე:

1. სახლი #1 - ს/კ: 01.14.08.001.062;
2. სახლი #2 - ს/კ: 01.14.08.001.112;
3. სახლი #3 - ს/კ: 01.14.08.001.112;
4. სახლი #4 - ს/კ: 01.14.08.001.058;
5. სახლი #5 - ს/კ: 01.14.08.001.057;
6. სახლი #6 - ს/კ: 01.14.08.001.056;
7. სახლი #7 - ს/კ: 01.14.08.001.097;
8. სახლი #8 - ს/კ: 01.14.08.001.063;
9. სახლი #9 - ს/კ: 01.14.08.001.064;
10. სახლი #10 - ს/კ: 01.14.08.001.098;
11. სახლი #11 - ს/კ: 01.14.08.001.098;

12. სახლი #12 - ს/კ: 01.14.08.001.067;
13. სახლი #13 - ს/კ: 01.14.08.001.074;
14. სახლი #14 - ს/კ: 01.14.08.001.073;
15. სახლი #15 - ს/კ: 01.14.08.001.073;
16. სახლი #16 - ს/კ: 01.14.08.001.097;
17. სახლი #17 - ს/კ: 01.14.08.001.097;
18. სახლი #18 - ს/კ: 01.14.08.001.088;
19. სახლი #25 - ს/კ: 01.14.08.001.112;
20. სახლი #26 - ს/კ: 01.14.08.001.112;

(შემდეგ - ერთობლივად „იბერია ჰილზი");

ვინაიდან, მიმდინარე რეაბილიტაციის გეგმის ფარგლებში „იბერია ჰილზის" მშენებლობას ახორციელებენ „MG Capital", "მეტრა", "ანს" და "მეტრა ფროფერთის", რომელთა ინტერესს და ვალდებულებას წარმოადგენს შესაბამის სახლებზე მშენებლობის დასრულება და მათი ექსპლუატაციაში მიღება;

ვინაიდან, მხარეებს სურთ, რომ „იბერია ჰილზში" შემავალი მშენებარე ობიექტების ნაწილზე მენაშენის უფლება-ვალდებულებები გადაეცეთ „მეტრას", „ანს" და „მეტრა ფროფერტი"-ს, ხოლო დარჩენილ ნაწილზე დარჩეს - "MG Capital"-ს, რაც საშუალებას მისცემს ყველა მხარეს, დამოუკიდებლად მიიღონ მშენებლობის ნებართვები და სანებართვო მოწმობა იმ ობიექტებზე, რომლებზეც ფლობენ მენაშენის სამოქალაქო-სამართლებრივ უფლებებს და დამოუკიდებლად დაასრულონ და მიიღონ ექსპლოატაციაში შესაბამისი მშენებარე ობიექტი;

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მხარეები წინამდებარით თანხმდებიან შემდეგზე:

ძირითადი დებულებები

1. (ა) „MG Capital" გადასცემს, ხოლო „მეტრა" საკუთრებაში იღებს ყველა იმ სამოქალაქო სამართლებრივ უფლებას, რაც „MG Capital"-ს, როგორც მენაშენეს და მშენებლობის ნებართვის მფლობელს გააჩნია „იბერია ჰილსში" შემდეგ საკადასტრო კოდზე აღმართულ უძრავ ქონებაზე:

- სახლი #1 - ს/კ: 01.14.08.001.062;
- სახლი #5 - ს/კ: 01.14.08.001.057;
- სახლი #6 - ს/კ: 01.14.08.001.056;
- სახლი #8 - ს/კ: 01.14.08.001.063;
- სახლი #10 - ს/კ: 01.14.08.001.098;
- სახლი #11 - ს/კ: 01.14.08.001.098;
- სახლი #12 - ს/კ: 01.14.08.001.067;
- სახლი #13 - ს/კ: 01.14.08.001.074;
- სახლი #14 - ს/კ: 01.14.08.001.073;
- სახლი #15 - ს/კ: 01.14.08.001.073
- სახლი #16 - ს/კ: 01.14.08.001.097;
- სახლი #17 - ს/კ: 01.14.08.001.097;

- სახლი #18 - ს/კ: 01.14.08.001.088;
- სახლი #26 - ს/კ: 01.14.08.001.112;

(ზ) „MG Capital“ გადასცემს, ხოლო „ანს“ საკუთრებაში იღებს ყველა იმ სამოქალაქო სამართლებრივ უფლებას, რაც „MG Capital“-ს, როგორც მენაშენეს და მშენებლობის ნებართვის მფლობელს გააჩნია „იბერია ჰილსში“ შემდეგ საკადასტრო კოდზე აღმართულ უძრავ ქონებაზე:

- სახლი #2 - ს/კ: 01.14.08.001.112;

(ზ) „MG Capital“ გადასცემს, ხოლო „მეტრა ფროფერტი“ საკუთრებაში იღებს ყველა იმ სამოქალაქო სამართლებრივ უფლებას, რაც „MG Capital“-ს, როგორც მენაშენეს და მშენებლობის ნებართვის მფლობელს გააჩნია „იბერია ჰილსში“ შემდეგ საკადასტრო კოდზე აღმართულ უძრავ ქონებაზე:

- სახლი #3 - ს/კ: 01.14.08.001.112;
- სახლი #4 - ს/კ: 01.14.08.001.058;

წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული სამოქალაქო-სამართლებრივი უფლების გადაცემა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- შენობა-ნაგებობის ექსპლოატაციაში მიღების უზრუნველყოფის უფლება;
- შესაბამისი ნებართვების მოპოვების მიზნით სამშენებლო-საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება შესაბამის ორგანოებთან;
- სამშენებლო-საპროექტო დოკუმენტაციაში ნებისმიერი ცვლილების/კორექტირების განხორციელება და შეთანხმება შესაბამის ორგანოებთან;
- შეცვლილი პროექტის საფუძველზე ახალი განშლის შედგენა და მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია;
- საპროექტო დოკუმენტაციისა და განშლის საფუძველზე რეგისტრირებული ფართების კორექტირება (გამოკვეთა, გაერთიანება, გაუქმება) ან/და დამატებითი ფართების რეგისტრაცია ნებართვის მფლობელის საკუთრებაში;
- ნებისმიერი სხვა ქმედების განხორციელება, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მენაშენეს გააჩნია მიწის ნაკვეთთან და მასზე განთავსებულ სამშენებლო ობიექტთან დაკავშირებით.

(დ) აქვე მხარეები აზუსტებენ, რომ „MG Capital“ საკუთრებაში იტოვებს ყველა იმ სამოქალაქო სამართლებრივ უფლებას, რაც „MG Capital“-ს, როგორც მენაშენეს და მშენებლობის ნებართვის მფლობელს გააჩნია „იბერია ჰილსში“ შემდეგ საკადასტრო კოდზე აღმართულ უძრავ ქონებაზე:

- სახლი #9 - ს/კ: 01.14.08.001.064;
- სახლი #25 - ს/კ: 01.14.08.001.112;

(ე) ასევე რჩება უცვლელად სახლი #7, რომელზეც მშენებლობის ნებართვის მფლობელია მესაკუთრე **თამარ ბერელაშვილი**, პ/ნ 01030006691;

ამასთან, „მეტრა“ „ანს“ და „მეტრა ფროფერტი“ თამარ ბერელაშვილის ან მისი უფლებამონაცვლის წინაშე წინასწარ აცხადებენ გამოუხმობ თანხმობას და იღებენ ვალდებულებას, რომ შეასრულებენ ყველა იმ მოქმედებას რაც საჭირო იქნება #7 სახლში ცვლილებების განსახორციელებლად, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ:

№7 სახლზე განაშენიანების არსებული ფართია - 488.5 კვ.მ და განაშენიანების ინტენსივობის ფართია - 1703 კვ.მ.; №7 სახლის მესაკუთრეს აქვს უფლება, "მეტრასათვის", "ანსი"-თვის", "მეტრა ფროფერთისთვის" ან/და ნებისმიერი სხვა მესამე პირისათვის ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურებისა თუ კომპენსაციის გადახდის გარეშე №7 სახლის მშენებლობის, განვითარებისა და გამოყენების მი'ზნით ისარგებლოს **"იბერია ჰილზი"**-ის ტერიტორიაზე არსებული კომუნიკაციის ყველა (მათ შორის გზის, კანალიზაციის, ელექტროობის, გაზის, წყლისა და სანიაღვრე) სისტემით. სარგებლობაში იგულისხმება №7 სახლის მესაკუთრის უფლება, საკუთარი ხარჯით და შესაბამისი წესების დაცვით, მოახდინოს კომუნიკაციის სისტემებზე დაერთება იმ ფორმით და მოცულობით, რაც აუცილებელია №7 სახლის მშენებლობის, ექსპლუატაციაში მიღებისა და ქონებით შეუზღუდავად სარგებლობისათვის; ყოველგვარი ორაზროვნების გამოსარიცხად მხარეები აღნიშნავენ, რომ №7 სახლი უნდა განთავსდეს **"იბერია ჰილზი"**-ის ტერიტორიაზე, კერძოდ მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი: 01.14.08.001.097, მიწის ნაკვეთი საერთო ფართი 3573 კვ.მ, რომელზეც ასევე განთავსებულია №16 და №17 მშენებარე სახლები. "მეტრა" ადასტურებს, რომ №7 სახლის როგორც სამშენებლო პროექტზე და ასევე მშენებლობის დასრულების შემდეგ – შესაბამის ფართებზე ამ სახლში არ გააჩნია არანაირი პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება. მოცემული დებულება ვრცელდება ასევე №7 სახლის შესაბამის წილობრივ მიწის ნაკვეთზეც, რომელიც დადგენილი კოეფიციენტის შესაბამისად შეადგენს დაახლოებით 1000 (ერთი ათასი) კვ.მ.-ს.

ასევე, #7 სახლის მესაკუთრის მიერ საპროექტო ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში "მეტრა", „ანს“ და „მეტრა ფროფერტი“ წინასწარ იღებენ ვალდებულებას გასცენ თანხმობა #7 სახლის არქიტექტურულ-საპროექტო ცვლილებაზე, მათ შორის კოეფიციენტის (კ1, კ2, კ3) მომატებაზე და გრგ-ს ცვლილებაზე, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამგვარი ცვლილების შედეგად არ უნდა გაიზარდოს #7 კორპუსის მოშენების ფართი და სართულიანობა არ უნდა აღემატებოდეს რვა სართულს. "მეტრა", „ანს“ და „მეტრა ფროფერტი“ თავის მხრივ იღებენ ვალდებულებას, ითანამშრომლონ #7 სახლის ნებართვის მფლობელთან/მესაკუთრესთან და განახორციელოს ნებისმიერი და ყველა ქმედება (#7 სახლის მესაკუთრის ხარჯით), რაც საჭირო იქნება ცვლილებების განსახორციელებლად ზემოაღნიშნული პირობების დაცვით.

2. დამატებით წინამდებარე შეთანხმებით მხარეები თანხმდებიან, რომ „MG Capital“ „მეტრას“, „ანს“ და „მეტრა ფროფერტის“ სრულად გადასცემს „იბერია ჰილსის“ ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდეგ - „გრგ“) გამოყენებისა და მასში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანის უფლებას.

მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე შეთანხმებით „MG Capital“-ის მიერ გაცემულად ითვლება თანხმობა ნებისმიერ ცვლილებასა ან/და დამატებაზე, რომლის „გრგ“-ში განხორციელებას „მეტრა“ ჩათვლის საჭიროდ, ხოლო იმ შემთხვევაში თუკი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე ადმინისტრაციული ორგანო ამ დებულების მიუხედავად, „MG Capital“-სგან მოითხოვს რაიმე ქმედების განხორციელების ან დამატებით თანხმობას „გრგ“-ში ცვლილების ან/და დამატების შეტანის მიზნით, „MG Capital“ დაუყოვნებლივ განახორციელებს ყველა საჭირო მოქმედებას და გასცემს ასეთ ნებართვას „მეტრასგან“ შესაბამისი შეტყობინების მიღებისთანავე დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

სიცხადის მიზნით, წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმომწერი მხარეები თანხმდებიან, რომ „MG Capital“ არ განახორციელებს რაიმე სახის არქიტექტურულ საპროექტო ცვლილებას „იბერია ჰილზში“ მის საკუთრებაში არსებულ იმ ფართებზე, რომლებზეც გააჩნია მშენებლობის ნებართვა (მათ შორის შეზღუდვის გარეშე იგულისხმება კოეფიციენტისა და გრგ-ს ცვლილება) „მეტრა“-ს, „ანს“-ის და „მეტრა ფროფერთის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის მოპოვების გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში „MG Capital“ ვალდებული იქნება აუნაზღაუროს დანარჩენ მხარეებს ამით მიყენებული ზიანი;

3. წინამდებარე „შეთანხმების“ 1-ელ პუნქტში აღნიშნული უფლებების გადაცემის შედეგად საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოებისგან „მეტრა“, „ანს“ და „მეტრა ფროფერტი“ მოიპოვებენ შესაბამის მშენებლობის ნებართვებს „იბერია ჰილზში“ შემავალ მშენებარე ობიექტებზე, ხოლო „MG Capital“ თავის მხრივ იღებს შეუქცევად და უპირობო ვალდებულებას, ითანამშრომლოს ზემოაღნიშნულ სამივე მხარესთან და განახორციელოს ნებისმიერი და ყველა ქმედება, "მეტრას", „ანს“-ის ან „მეტრა ფროფერტის“ ხარჯით, რაც საჭირო იქნება ამ უკანასკნელების მიერ ადმინისტრაციული ორგანოებისგან წინამდებარე შეთანხმების 1-ელ პუნქტში ჩამოთვლილ უძრავ ქონებაზე მათ მიერ შესაბამისი მშენებლობის ნებართვის აღებისთვის.

4. ყოველგვარი ორაზროვნების გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან, რომ:
   - „მეტრა“, „ანს“ ან „მეტრა ფროფერტი“ უფლებამოსილნი არიან, მიმართონ თბილისის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურებს, ნებისმიერ სხვა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს და როგორც მენაშენემ მოითხოვონ ყველა იმ უფლების განხორციელება, რაც მათ მიერ წინამდებარე შეთანხმებით გადაცემულ მშენებარე ობიექტთან დაკავშირებით გააჩნდა „MG Capital“-ს, რაშიც იგულისხმება, მაგრამ არ შემოიფარგლება, სამშენებლო დოკუმენტაციაში ცვლილება/დამატების შეტანა, მშენებლობის ვადის გაგრძელება/აღდგენა, ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შეცვლა,

კოეფიციენტის ცვლილება, მიწის ნაკვეთის გამიჯვნა/გაერთიანება, მშენებლობის ნებართვის ბრძანებასა და სანებართვო მოწმობაში ნებისმიერი სახის ცვლილების შეტანა/ახალი მშენელობის ნებართვისა და სანებართვო მოწმობის მოპოვება, მშენებარე ობიექტის ექსპლოატაციაში მიღება და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ნებისმიერი ქმედება.

- მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი ფართი, რომელიც წარმოიქმნება „იბერია ჰილზში“ არსებულ იმ მშენებარე ობიექტებში (სახლებში), რომლებზეც წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე მშენებლობის ნებართვა გადაეცემა „მეტრას“, „ანს“-ს ან „მეტრა ფროფერტი“-ს, ამ უკანასკნელების მიერ შესაბამისად განიშლება საჯარო რეესტრში და დარეგისტრირდება იმ პირის საკუთრებაში, რომელიც ფლობს მშენებლობის ნებრათვას ან/და მისივე გადაწყვეტილებით ნებისმიერ მესამე პირზე (გამონაკლის წარმოადგენს მე-5 სახლში, მე-2 სართულზე არსებული საცხოვრებელი ბინა 60.8 კვ.მ., რომლებიც სს "იბერია უძრავი ქონების“ მიერ უკვე გასხვისებულია მესამე პირზე მარიამ თოხაძეზე (პ/ნ 01008017631), აქედან გამომდინარე, საჯარო რეესტრში შესაბამისი განშლის რეგისტრაციის საფუძველზე მოცემულ ბინაზე ავტომატურად დარეგისტრირდება მარიამ თოხაძის საკუთრების უფლება);

წინამდებარე შეთანხმების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთანავე „MG Capital“ კარგავს ყველანაირ სამოქალაქო-სამართლებრივ უფლებას, რაც მას, როგორც მენაშენეს გააჩნია იმ უძრავ ქონებაზე და მშენებარე ობიექტებზე, რომლებზეც მენაშენის უფლებები წინამდებარე შეთანხმებით გადასცა „მეტრას“, „ანს“-ს და „მეტრა ფროფერტი“-ს. აღნიშნული გარემოება არ ზღუდავს „MG Capital“-ის უფლებას გაწიოს ნებისმიერი ისეთი ხარჯი, რაც მისი შეხედულებისამებრ საჭირო იქნება „იბერია ჰილზის“ როგორც კომპლექსის ერთობლივი მიზნებისათვის (იგულისხმება გზები, საერთო კეთილმოწყობა და ა.შ.)

5. მხარეები თანხმდებიან, რომ „მეტრას“, „ანს“-ის და „მეტრა ფროფერტი“-ს მიერ წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე „იბერია ჰილზში“ შემავალ ობიექტების ნაწილზე შესაბამისი მშენებლობის ნებართვისა და სანებართვო მოწმობების მოპოვების შემდეგ, თითოეული მხარე, როგორც მენაშენე, ცალ-ცალკე აგებს პასუხს იმ ვალდებულებებზე, რაც მას, როგორც მენაშენეს და მშენებლობის ნებართვის მფლობელს გააჩნია ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოსა და დაინტერესებული მესამე პირების წინაშე. შესაბამისად, თითოეული მხარის დამოუკიდებელი და ერთმანეთის ვალდებულებისგან გამიჯნული ვალდებულებაა, დაასრულოს და ექსპლოატაციაში მიღების კონდიციამდე მიიყვანოს ის მშენებარე ობიექტები, რომელზეც კონკრეტული მხარე ფლობს შესაბამის მშენებლობის ნებართვას.

იპოთეკა

6. ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე "მეტრა" აცხადებს, რომ "იბერია ჰილსის" ***მე-5, მე-6, მე-8 და მე-10*** სახლების მშენებლობას დაასრულებს არაუგვიანეს **2016 წლის 31 მარტისა** და **მშენებლობის დასრულებიდან არაუგვიანეს** 2 (ორი) **თვის** ვადაში უზრუნველყოფს ამ სახლების ექსპლუატაციაში მიღებას, ხოლო ***მე-11, მე-14, მე-15, მე-16 და მე-17*** სახლების მშენებლობას დაასრულებს არაუგვიანეს **2017 წლის 30 ივნისისა** და **მშენებლობის დასრულებიდან არაუგვიანეს** 2 (ორი) **თვის** ვადაში უზრუნველყოფს ამ სახლების ექსპლუატაციაში მიღებას (შემდეგ - "ძირითადი ვალდებულება")
